ოქმი № 16

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის კომისიის სხდომა

ქუთაისი, 2023 წლის 24 მაისი 12 სთ

სხდომის ჩატარების ადგილი:
საკონფერენციო დარბაზი
ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე.**

ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: **ი.შენგელია, გ.ბასილაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.ნიჟარაძე, ე.არჩაია, გ.კილაძე, დ.ფხაკაძე, კ.გურული, მ.სიმონიძე,**

სულ: კომისიის 10 წევრი.

არ ესწრებოდა: დ.ბახტაძე, გ.მანაგაძე, რ.ქვაჩაკიძე, მ.ჭოხონელიძე, ზ.მამასახლისი, პ.ლილუაშვილი.

მოწვეული პირი: ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **თამარ დახუნდარიძე.**

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბ. მახარაძემ** და წარმოადგინა კომისიის სხდომის შემდეგი **დღის წესრიგი:**

1. ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ.

   /ვ. გობეჯიშვილი/

2. კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ.

   /კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის წარმომადგენლები/

3. ა(ა)იპ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ.

   /ვ.ჯუღელი/

4. ა(ა)იპ ,,ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლის“ მიერ 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ.

   /თ.ბაკურაძე/

5. მიმდინარე და სხვადასხვა საკითხები

კენჭი ეყარა დღის წესრიგს და ერთხმად დამტკიცდა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული საკითხების მასალები გადმოგზავნილი იყო და ალბათ გაეცანით. პირველი საკითხი სოციალურ საკითხთა სამსახურის პირველი კვარტლის ანგარიშს ეხება და ვთხოვოთ მისი წარმოდგენა ბატონ ვარლამ გობეჯიშვილს.

1. **მოისმინეს:** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის ბატონი **ვ.გობეჯიშვილის** ინფორმაცია 2023 წლის 1-ლი კვარტლის მუშაობის შესახებ: „2023 წლის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელება მიმდინარეობს ,,ქ. ქუთაისის მუნუციპალიტეტის **2023** წლის ბიუჯეტის“ შესახებ ქ.ქუთაისის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილების საფუძველზე. 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენს 6 534 200 ლარს. მიმდინარე წლის 3 თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი) განმავლობაში დაიხარჯა 1 289 547 ლარი. საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა 4100 განცხადება (წერილი)“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „სამედიცინო დახმარების პროგრამის მიხედვით ამ პროგრამის წლიური ბიუჯეტის მხოლოდ 17%-ია ათვისებული. რამ გამოიწვია აღნიშნული, რატომ ვერ დაიხარჯა თანხა, როგორ ფიქრობთ?“

ვ.გობეჯიშვილი: „თანხები პროგრამებზე ყველა კვარტალში სხვადასხვა პროპორციით იხარჯება და სხვადასხვა წესით. ამ პროგრამის მიხედვით, დაფინანსების წესის შეცვლის გამო, გეგმიური ოპერაციები უფინანსდება მხოლოდ სოციალურად დაუცველებს. ალბათ ნაწილობრივ ამანაც გამოიწვია აღნიშნული“.

კომისიის წევრი **ი.შენგელია:** „ეს ყველაფერი შეიძლება გავხადოთ მსჯელობის საგნად. გამოდის, რომ ვეხმარებოდით კონკრეტულ ადამიანებს და ახლა ვეღარ ვეხმარებით, თუ არ არის სოციალურად დაუცველი. პოლემიკა ამ დროს რეალურია და არ უნდა განვიხილოთ პოლიტიკურ ჭრილში. ადამიანებს, რომლებსაც დახმარება ჭირდებათ, უნდა დავეხმაროთ. ამიტომ, გონივრულია ჩანაწერი ამ პროგრამაში კატეგორიასთან მიმართებით, შეიცვალოს. უნდა გამოვნახოთ ფორმა, მექანიზმი რომ ადამიანებს დავეხმაროთ. საინტერესოა სტატისტიკა, რამდენ მოქალაქეს ეთქვა უარი?“

ვ.გობეჯიშვილი: „ამის ზუსტი ციფრის თქმა რთულია, რადგან ყველა მოთხოვნა არ შემოდის წერილობით. ჩვენ შარშანდელი მომსახურების თანხებიც ნაწილობრივ წელს ჩავრიცხეთ, რისთვისაც წლევანდელი პროგრამის ბიუჯეტში ოდნავ მეთი თანხა გავითვალისწინეთ. ზოგადად, კატეგორიის შემცირების იდეა ჩვენი სამსახურიდან არ მოდიოდა და გარკვეული პერიოდში დაკვირვებას ვაწარმოებდით. ჩვენი წინადადება იქნება, პენსიონრების კატეგორიას თუ „დავაბრუნებთ“ ამ პროგრამაში. ყველაზე დიდი კატეგორიაა 0-6 წლამდე ბავშები და პენსიონერები“.

კომისიის წევრი **ა.კოპალეიშვილი:** „ბატონ ვარლამს დიდ პატივს ვცემ, როგორც პიროვნებას და ხელმძღვანელს, მაგრამ როცა ასეთი ცვლილებაა და იგი მოქალაქეთა გაჭირვებულ კატეგორიას ეხება, ჩვენ უფრო კონკრეტულად უნდა ვიცოდეთ“.

კომისიის წევრი **კ. გურული:** „ბიუჯეტის თანხების ათვისება ბევრ პროგრამაში ნულოვანია. არის თუ არა შესაძლებლობა, რომ ეს თანხები სხვა პროგრამებს მოხმარდეს?“

ვ.გობეჯიშვილი: „დიახ, ეს შესაძლებელია“.

კომისიის წევრი **კ. გურული:** „სოციალური ღონისძიებების პროგრამის წლიური ბიუჯეტის 35% არის ათვისებული პირველ კვარტალში. ეს ღონისძიებებს მოხმარდა თუ კონკრეტული ადამიანების დახმარებებს?“

ვ.გობეჯიშვილი: „ეს არის სააღდგომოდ გაჭირვებულთა კატეგორიაზე ნობათების შესაძენად გაცემული ვაუჩერები“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „მედიკამენტებით დახმარების პროგრამაშიც დაბალია მაჩვენებელი წლიურ ბიუჯეტთან და იგი მხოლოდ 11%-ს შეადგენს. აქაც რაიმე ღონისძიება ხომ არ დაგვჭირდება?“

ვ.გობეჯიშვილი: „დიახ, აქაც კატეგორიზაციის საკითხია გადასაწყვეტი. ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მხოლოდ ბავშვი 711-ია, პენსიონერი კი გაცილებით მეტი. ამ პროგრამაში ზოგადად ჩვენ ათვისების გაჭირვება არ გვქონია და ალბათ მეორე კვარტალში გასწორდება, რადგან ეს ფაქტობრივად არის 2,5 თვის მაჩვენებელი“.

კომისიის წევრი **ე.არჩაია:** „აუტისტური სპექტრის კატეგორიის დახმარება ახსენეთ და მათთვის არ გყოფნით თანხა?“

ვ.გობეჯიშვილი: „მათი დაფინანსება ორ ეტაპად ხდება და ამით აქვს გარკვეული სპეციფიკა. სხვა პრობლემა არ გვაქვს“.

კომისიის წევრი **ი.შენგელია:** „მნიშვნელოვანია მრავალშვილიან მცირე მეწარმეთა ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ბიუჯეტია 60 ათასი ლარი და აუთვისებელია. ეს მნიშვნელოვანი პროგრამაა და 2019 წლიდან ხორციელდება. სასურველია არ დავტოვოთ უყურადღებოდ. იგივე ეხება შშმ პირების მხარდაჭერასაც. აქ რაიმე ფორმა შეიცვალა?

მერის მოადგილე **თ.დახუნდარიძე**: „ამჟამად არაფერი შეცვლილა. ეს არის გრძელვადიანი დახმარება. პროგრამის განხორციელება კოვიდმა შეაფერხა და გვინდა გავაცოცხლოთ. შშმ პირების მხარდაჭერის პროგრამის მიხედვით გვყავს მოსარგებლე შერჩეული. ამ პროგრამების განხორციელებაში გენდერულ საბჭოსაც ჩავრთავთ, გვაქვს ინტენსიური შეხვედრები შესაძლო მოსარგებლეებთან“.

კომისიის წევრი **ი.შენგელია:** „თქვენი სამსახურის დატვირთვა ძალიან დიდია და შეიძლება რიგი აქტივობები „გარეთაც გავიტანოთ“ სხვადასხვა სტრუქტურების ჩართულობის ხარჯზე“.

ვ.გობეჯიშვილი: „შშმ პირთა მხარდაჭერისათვის შემოვა სიახლე, პერსონალური ასისტენტის დაფინანსების კუთხით, რომელსაც ვაუჩერი მიეცემა. გვექნება ვალდებულება განვახორციელოთ შშმ პირთა ასისტირების პროგრამა.

კომისიის წევრი **ი.შენგელია:** „ამ თემაზე ნალა-შიც იყო საუბარი. ეს ჩვენს კომპეტენციაში შევა?“

მერის მოადგილე **თ.დახუნდარიძე**: „ჯერჯერობით არა, მაგრამ თანდათანობით მოხდება დელეგირება“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „სოციალურად დაუცველი ოჯახების მხარდაჭერაც ნულოვანია ამ კვარტალში“

ვ.გობეჯიშვილი: „ამ კატეგორიის ოჯახების მხრიდან იყო შიში ქულის დაკარგვისა. სოცდაცვის სააგენტოს და ყველა კლინიკას დავუგზავნეთ წერილები, რომ ეცნობებინათ ახალდაბადებულთა და ახალდაქორწინებულთა შესახებ. ეს ადამიანები სამწუხაროდ არ მოდიან 500 ლარის ასაღებად. სასურველი იქნება თანხის 1000 ლარამდე გახრდა. თუმცა ქულის დაკარგვის შიში კვლავ ძალაში რჩება“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „ბავშვის განვითარების ხელშეწყობის პროგრამიდან, რომელიც 30 ათასი ლარია, არაფერია დაფინანსებული“

ვ.გობეჯიშვილი: „სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ პროვაიდერ ორგანიზაციებთან კონსესუსის მიღწევა. როგორც ნობათებზე მოვახერხეთ ვაუჩერები, მსგავსი წესით გვინდა ამ პროგრამის განხორციელებაც“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „ონკოპაციენტების ფსიქომხარდაჭერის პროგრამაც არ დაძრულა, როგორც ირკვევა, რაც ყურადსაღებია“.

ვ.გობეჯიშვილი: „აქ ცოტა დაგვიანდა ბენეფიციართა შერჩევა. ეს ახალი, საპილოტე პროგრამაა, რომელსაც მომართვიანობის მაღალი რისკი ახასიათებს. წლის განმავლობაში ავითვისებთ ამ თანხას“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „თქვენი სამსახური ძალიან ბევრ პროგრამას ახორციელებს. იქნებ მოქალაქეების ინფორმირებულობა გავზარდოთ, იცოდნენ მათ, რა მხარდაჭერა შეუძლიათ მიიღონ ბიუჯეტიდან“.

მერის მოადგილე **თ.დახუნდარიძე**: „ამ ეტაპზე ჩვენ ვაპირებთ ბუკლეტების ბეჭდვას და გავრცელებას ტერიტორიულ ერთეულებში. აგრეთვე, შექმნილია ელექტრონული პლათფორმა, რომელზე შესვლა შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს, შეიტანს რა მონაცემებს, იქვე ეცნობება, რომელი პროგრამებით შეუძლია ისარგებლოს.

კომისიის წევრი **გ. ბასილაძე:** „როდის დავძრათ ეს საკითხი, რაც პროგრამებში ცვლილებებს ეხება?“

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „ჩვენ ვიმუშავებთ სოციალურ სამსახურთან ამ საკითხთან დაკავშირებით“.

კომისიის წევრი **მ. სიმონიძე:** „მიმაჩნია, რომ სამედიცინო დახმარების პროგრამის მიმღები აუცილებლად უნდა იყოს პენსიონერი. იგი ყველა შემთხვევაში დაუცველია და უნდა დავაფინანსოთ“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „გადაუდებელი რეაგირების პროგრამაში ათვისებულია წლიური ასიგნების 14%. მომართვიანობა შემცირდა თუ რაიმე სხვა მიზეზია?“

მერის მოადგილე **თ.დახუნდარიძე**: „ყველა განცხადება განიხილება და მათი მოკვლევა ხდება. ვეცადეთ ყველა დავხმარებოდით. რაიმე სფეროს მიხედვით დაყოფას ვერ მოვახდენთ, გამოვდივართ არსებული რეალობიდან“.

ვ.გობეჯიშვილი: „ეს პროგრამა სამედიცინო დახმარების პროგრამის ჩამნაცვლებლად იქცა. იქ თუ ვერ იღებენ დაფინანსებას, ამ პროგრამის მიხედვით მოგვმართავენ. ეს პროგრამა გათვლილია კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებზე, რომლებიც სოციალური საფრთხის ქვეშ იმყოფებიან, თუმცა რეალურად ხშირად მოგვმართავენ ოპერაციების დაფინანსებაზე“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „თუ ასეა, დაფინანსების წესში ცვლილებაზეც შეიძლება ვიფიქროთ“.

კომისიის წევრი **მ.ნიჟარაძე:** „მიმაჩნია, რომ წინა წელს რა კატეგორიასაც ვეხმარებოდით, უნდა შენარჩუნდეს და იმ სისტემას დავუბრუნდეთ“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „თუ სხვა შეკითხვები არ გვაქვს, კენჭი ვუყაროთ საკითხს, სოციალური სამსახურის მიერ პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის ცნობად მიღების შესახებ“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** -8, **თავი შეიკავა** - 2.

დაადგინეს: სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ პირველ კვარტალში გაწეული მუშაობა ცნობად იქნას მიღებული.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „მოვისმინოთ მეორე საკითხი - ინფორმაცია კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ“

2. **მოისმინეს**: კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის წარმომადგენელთა ინფორმაცია პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (ვრცელი მასალა თან ერთვის).

ე.გოგოლაშვილი: „მოკლედ გაგაცნობთ პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ:

- ქვეპუნქტიდან ,,ქუთაისში გამომავალი ბეჭდური გამოცემების დაფინანსება (უქიმერიონი, მწვანეყვავილა, განთიადი)“ დაფინანსდა და გამოიცა ჟურნალ ,,უქიმერიონის“ N1 ნომერი, ჟურნალ ,,მწვანეყვავილას“ N1 და ჟურნალ ,,განთიადის“ N1-2 ნომრები.
- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ ქუთაის-გაენათის ეპარქიას შორის 2023 წლის 24 იანვარს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის N7 მემორანდუმის საფუძველზე, ა(ა)იპ ქუთაის-გაენათის ეპარქიას გადაერიცხა 35000 ლარი.
- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ქ.ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს შორის 2022 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის N45 მემორანდუმის საფუძველზე, ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს გადაერიცხა 50000 ლარი.
- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ანსამბლ ,,ბერმუხას“ შორის 2023 წლის 24 იანვარს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის N6 მემორანდუმის საფუძველზე, ანსამბლ ,,ბერმუხას“ გადაერიცხა 6666 ლარი.
- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ ქუთაისის სიმფონიური ორკესტრს შორის 2023 წლის 24 იანვარს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის N5 მემორანდუმის საფუძველზე, ა(ა)იპ ქუთაისის სიმფონიურს ორკესტრს გადაერიცხა 11000 ლარი.
- ქვეპუნქტიდან ,,საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში გამარჯვებული მოსწავლეების და მათი პედაგოგების დაჯილდოება“ 500 ლარით დაჯილდოვდა მარინე იაშვილის მეორე საერთაშორისო კონკურსში პირველი კატეგორიის მესამე ადგილის

დაკავებისათვის მოსწავლე ბარბარე ვარდანიძე, ასევე პედაგოგი ზანდა კიკვაძე დაჯილდოვდა 500 ლარით.

- ქვეპუნქტიდან ,,საქართველოს დამსახურებული არტისტების და ქურუმის სტიპენდია (მხოლოდ ქუთაისში რეგისტრირებულთათვის)“ 5400 ლარის ოდენობით სტიპენდია გადაეცა ღვაწლმოსილ ხელოვან ქუთაისელებს.
- სატელევიზიო პროექტის ,,ვარლა“ განხორციელებისთვის ფ/პ მაია ყუფარაძეს მხარი დაეჭირა 5000 ლარის ოდენობით. ადგილობრივი ტელერადიოკომპანია ,,რიონის“ ეთერში გაზაფხულზე გადაიცემა 4 გადაცემა ღვაწლმოსილ ქუთაისელ მხატვარზე.
- ფ/პ ნათელა ჯიმშელეიშვილს გაეწია ფინანსური დახმარება 300 ლარის ოდენობით, ქალაქ სტამბოლში ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ გამოფენაში ფოტოპროექტის ,,ბოდიფონტი“ წარდგენისათვის.
- ფ/პ ზაზა კილასონიას გაეწია ფინანსური დახმარება 3000 ლარის ოდენობით საავტორო კონცერტის მუსიკალური არანჟირებისათვის.
- ფ/პ მიხეილ თურქაძეს გაეწია ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით ესტონეთში ორკაპი გალერიის მიერ ორგანიზებული საზაფხულო რეზიდენციის პროექტში მონაწილეობის მიღების მიზნით;
- რობერტ გოგოლაშვილს გადაერიცხა 5178 ლარი სანოტო კრებულის გამოცემისათვის“.

კომისიის თავმჯდომარე **ზ.მახარაძე:** „სტრიტ არტის 70 ათას ლარიანი დაფინანსება რას გულისხმობს?“

ე.გოგოლაშვილი: „ეს თანხა განკუთვნილია კედლების მოსახატად. გაფორმებულია სამმხრივი მემორანდუმი. კონკრეტული ადგილები განისაზღვრა ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის მიერ“.

ს.ფუტკარაძე: „2023 წლის იანვრიდან 2023 წლის ივნისის ჩათვლით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდია ერიცხება, ქუთაისის სამი ავტორიზებული უნივერსიტეტის, ექვს საუკეთესო სტუდენტს. სტიპენდიის ყოველთვიური ოდენობა განსაზღვრულია 1800 ლარით.

2023 წლის მარტის თვეში ქვეპუნქტიდან „ქუთაისელი მოსწავლეებისა და სტუდენტების საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებში მონაწილეობის დაფინანსება“ ისარგებლა ცამეტმა მოსწავლემ. სულ ჩარიცხული თანხა შეადგენს 2425 ლარს“.

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „პირველ კვარტალში გაწეული ხარჯი რამდენია?“

ს.ფუტკარაძე: „დაახლოებით 10 ათასი ლარი. ამ კვარტალში არ გვქონდა ბევრი ღონისძიება. წლიური ბიუჯეტი 240 ათასი ლარია“.

კომისიის თავმჯდომარე **ზ.მახარაძე:** „გაბაშვილის პარკში უფასო მომსახურების დღეების შესახებ იქნებ მივაქციოთ მოსახლეობის ინფორმირებულობას ყურადღება“

ს.ფუტკარაძე: „დიახ, ამას მაქსიმალურად გავავრცელებთ ინფორმაციას, რომ 3 დღის განმავლობაში მომსახურება უფასო იქნება“

ლ.სვანიძე: „სპორტის ღონისძიებების 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 1 798 000 ლარს. სპორტსმენების საზეიმო მიღება - 14 543.1 ლარი.

1. რაგბის ხელშეწყობა:

- რაგბის კლუბი „აია“ - გადაირიცხა - 450 000 /ოთხას ორმოცდაათი ათასი/ ლარი
- ქალთა რაგბი-- გადაირიცხა - 7000 /შვიდი ათასი/ ლარი /მაია სიმონიძე/
- რაგბის კლუბი „არესი“ – 120 000 ლარი
- რაგბის კლუბი „ბაგრატი“ - 100 000 ლარი

2. ქუთაისელი ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდია - ი.ცირეკიძე, წლის განმავლობაში ყოველთვიურად ერიცხება - 1500 ლარი. ამ ეტაპზე გადარიცხულია 4500 ლარი.
3. საქართველოს ჩემპიონის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვებული (პრიზიორი) სპორტსმენების, გამარჯვებული ვეტერანი სპორტსმენებისა და მწვრთნელთა ფულადი ჯილდოს გაცემა, სულ ჯამში: 2700 ლარი
4. სპორტსმენების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ფულადი ჯილდოს გაცემა, სულ ჯამში გადარიცხულია -1000 ლარი.

5. ააიპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებულ საქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელის მოღვაწის/მუშაკის წოდების მქონე პირთა ყოველთვიური ფულადი ჯილდო. ამ ეტაპზე გადარიცხულია - 24 100 ლარი.

6. სპორტის რაინდის სტიპენდია - გადარიცხულია - 1500 ლარი.

7. წარმატებული ქუთაისელი სპორტსმენების სტიპენდია, გადარიცხულია 29 580 ლარი.

8. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე ქუთაისელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირების დაფინანსება- სულ ჯამში: 10 172 ლარი

9. „ქუთაისელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ქვეყნის ფარგლებს გარეთ ტურნირებზე გასამგზავრებლად ფინანსური დახმარება“ - სულ ჯამი: 18 733 ლარი

10. გაუთვალისწინებელი ღონისძიებებიდან გაიცა 40 000 /ორმოცი ათასი/ ლარი

11. ააიპ ქუთაისი ოლიმპიური კომიტეტი - 960 ლარი

12. შშმ პირთა ტურნირებში მონაწილეობის მხარდაჭერა - 7 100 ლარი“

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „საზღვარგარეთ სპორტსმენთა გასვლაში რა თანხა იხარჯება?

ლ.სვანიძე: „50 ათასი ლარი“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „ხომ არ დაგაკლოდებათ რომელიმე მუხლში თანხა? ახალგაზრდულ ინიციატივებზე თანხები აითვისეთ?“

ლ.სვანიძე: „ხშირია მომართვიანობა ტრანსპორტზე, მაგრამ ჯერჯერობით არ იყო პრობლემა. ახალგაზრდულ ინიციატივებზე მიმდინარე პროექტებია“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „საერთაშორისო კონფერენციებისთვის 10 ათასი ლარია გამოყოფილი. ეს თანხა აითვისეთ?“

ლ.სვანიძე: „ჯერ-ჯერობით არ მოუმართავთ და შესაბამისად, არ არის ათვისებული“.

კომისიის წევრი **გ.ბასილაძე**: „სამმა სკოლამ მოგვმართა ტრანსპორტირებაზე და უარი ვუთხარით, სამწუხაროდ“

ლ.სვანიძე: „ჩვენ არ გვქონდა მუხლი, რომლითაც საქალაქთაშორისო გადაადგილებას დავაფინანსებდით. ტენდერი ამის თაობაზე არ ყოფილა. ამიტომ, სასურველია ტენდერები დროულად გამოცხადდეს“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „თუ შიგა გადაადგილებაზე მოგმართავენ, მიიღებენ დახმარებას?“

ლ.სვანიძე: „დიახ, თუ საერთაშორისო პროექტია ამ შემთხვევაში დავაკმაყოფილებთ“

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „შიგა გადაადგილებაზე რამდენი იყო მომართვიანობა და რა დაიხარჯა?“

ლ.სვანიძე: „ერთი შემთხვევა იყო სკოლისათვის, 800 ლარით დავაფინანსეთ“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „როგორც იკვეთება ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით საკითხი აქტუალურია. თუ სხვა შეკითხვები არ გვაქვს, კენჭი ვუყაროთ საკითხს კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის ცნობად მიღების შესახებ“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** -10, **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ პირველ კვარტალში გაწეული მუშაობა ცნობად იქნას მიღებული.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „მოვისმინოთ მესამე საკითხი - ინფორმაცია ა(ა)იპ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ“

3. **მოისმინეს**: ა(ა)იპ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ ხელმძღვანელის, **ვ.ჯუღელის** ინფორმაცია ააიპ-ის მიერ პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (ვრცელი მასალა თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „ბენეფიციართა რიცხოვნობა რატომ შემცირდა 2022 წელთან შედარებით?“

ვ.ჯუღელი: „ბენეფიციარები და ვიზიტორები ერთად აღირიცხება, წლის ანგარიშით. ამიტომ ვიზიტორების რაოდენობა როცა საბოლოოდ დაფიქსირდება, ზუსტი რიცხვი მაშინ გვექნება“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „თუ სხვა შეკითხვები არ გვაქვს, კენჭი ვუყაროთ საკითხს ა(ა)იპ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის ცნობად მიღების შესახებ“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** -10, **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: ა(ა)იპ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ პირველ კვარტალში გაწეული მუშაობა ცნობად იქნას მიღებული.

4. **მოისმინეს**: ა(ა)იპ „ქუთაისის მადლიერების სახლის“ ხელმძღვანელის, **თ.ბაკურაძის** ინფორმაცია ააიპ-ის მიერ პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (ვრცელი მასალა თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „ფაქტია, რომ ავტოქარხანაში დიდი ბენეფიციართა რაოდენობა, მაგრამ ბოლო პერიოდში ავტოქარხნის ფილიალში ბენეფიციართა დენადობა შეინიშნება და რა არის ამის მიზეზი?“

თ.ბაკურაძე: „რამდენადაც ავტოქარხანაში გვაქვს ფილიალი, მოხდა გადანაწილება. ნინოშვილის ქუჩაზე არსებული ოფისი რთული მისადგომია და ბენეფიციართა ნაწილმა იქეთ გადაინაცვლა“.

კომისიის თავმჯდომარე **ზ.მახარაძე:** „რამდენით გაიზარდა დაფინანსება ერთ ბენეფიციარზე?“

თ.ბაკურაძე: „2,33 ლარით“.

კომისიის თავმჯდომარე **ზ.მახარაძე:** „ინფრასტრუქტურის კუთხით რა ხდება? ავტოქარხნის ფილიალში თუ არის ვენტილაცია?“

თ.ბაკურაძე: „ინფრასტრუქტურის კუთხით რთული მდგომარეობა გვაქვს და ეს არის ჩვენი დიდი პრობლემა. ადმინისტრაციის ოთახები განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაშია. ავტოქარხნის ფილიალში ვენტილაცია გვაქვს“.

კომისიის თავმჯდომარე **ზ.მახარაძე:** „2023 წლის ბიუჯეტი გაზრდილი გაქვთ“.

თ.ბაკურაძე: „დიახ, ავტომობილი დავამატეთ, შინმიტანის სერვისისათვის“.

კომისიის თავმჯდომარე **ზ.მახარაძე:** „რაიმე სახის კულტურულ ღონისძიებებს თუ გეგმავთ?“

თ.ბაკურაძე: „გვყავს კულტურის მუშაკი, რომელსაც აქვს ურთიერთობები ბენეფიციარებთან“.

კომისიის თავმჯდომარე **ზ.მახარაძე:** „საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან რა საკითხი გაქვთ დასასმელი?“

თ.ბაკურაძე: „დახმარება შენობისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში“.

კომისიის წევრი **მ.ნიჟარაძე**: „შარშანდელთან შედარებით თუ შეიცვალა ბენეფიციართა რაოდენობა?“

თ.ბაკურაძე: „მოიკლო 50 კაცით და ახლა გვყავს 750 ადამიანი“.

კომისიის თავმჯდომარე **ზ.მახარაძე:** „თუ სხვა შეკითხვები არ გვაქვს, კენჭი ვუყაროთ საკითხს ა(ა)იპ „ქუთაისის მადლიერების სახლის“ მიერ პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის ცნობად მიღების შესახებ“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** -10, **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: ა(ა)იპ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ პირველ კვარტალში გაწეული მუშაობა ცნობად იქნას მიღებული.

ამით, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მეთექვსმეტე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ზაქარ მახარაძე**